საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/235 " 24 " ივლისი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

1. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის №1/232 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2017 წლის 25 ივლისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „გ. ებანოიძის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 4 მარტის №1/102 გადაწყვეტილება;

ბ) „ბ. შონიასათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 29 მაისის №1/171 გადაწყვეტილება.

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე